ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2537510

ნომერი: AR1393507

თარიღი : 05.04.2016

გაცემის თარიღი : 12.04.2016

გაცნობის თარიღი : 28.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 49ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე აბულაძე პ/ნ 01008018674
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 75ა ბ. 6

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1393507 განაცხადი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49ბ–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე წარმოების დაწყების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვის შესახებ.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (თქვენს მიერ

მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2012 წლის 15 ივნისის №216862 ბრძანებით და სანებართვო მოწმობით შეთანხმებულია კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი #49ბ–ში, ე.ს.ა. ,,ახალი ჭავჭავაძის 49ბ"–ს თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე მშენებარე მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, სპორტულ–გამაჯანსაღებელი, ოფისები და სხვა) შენობის მშენებლობისათვის. ხოლო სამსახურის #1144619 27.02.2014წ. გადაწყვეტილებით მოხდა განხორციელებული მშენებლობის ქალაგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება, ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

რაც შეეხება კომისიის გამოყოფას, აღნიშნული სცილდება სამსახურის კომპეტენციას.

ვინაიდან ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე, ამისათვის (www.tas.ge) უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში მიუთითოთ #AR130406, AR1199035 განაცხადის ნომრები.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2016 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge